საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/164 "18" ნოემბერი 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

გ. ჩიქოვანის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე გამწესების შესახებ

„საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36-ე მუხლის მე-4 და 4^1 პუნქტების საფუძველზე და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის თანდართული დასაბუთების შესაბამისად, გვანცა ჩიქოვანი 2020 წლის 1 დეკემბრიდან გამწესდეს მარნეულის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით.

ნინო ქადაგიძე

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა
გვანცა ჩიქოვანის ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე დანიშვნის თაობაზე

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35-ე მუხლის საფუძველზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ 2020 წლის 26 ივნისის №1/89 გადაწყვეტილებით გამოცხადდა მოსამართლეობის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსი საერთო სასამართლოების სისტემაში არსებულ ვაკანსიებზე, მათ შორის მარნეულის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის 1 ვაკანტურ თანამდებობაზე.

კანდიდატთა რეგისტრაცია მიმდინარეობდა 2020 წლის 29 ივნისიდან 19 ივლისის ჩათვლით. მითითებულ ვაკანსიაზე დარეგისტრირდა 23 კანდიდატი.

2020 წლის 24 ივლისიდან 21 აგვისტომდე მოსამართლის საქმიანობის შეფასების მართვის დეპარტამენტის მიერ კონკურსში მონაწილე კანდიდატებზე, მათ შორის გვანცა ჩიქოვანზე მოძიებულ იქნა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 35^2 მუხლით გათვალისწინებული ინფორმაცია, რომელიც იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებს წარედგინათ 24 აგვისტოს.

<u>კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაცია:</u>

გვანცა ჩიქოვანს აქვს სპეციალობით მუშაობის 8-წლიანი გამოცდილება. იგი 2011-2019 წლებში მუშაობდა თბილისის საქალაქო სასამართლოში.

გვანცა ჩიქოვანი იუსტიციის უმაღლესი სკოლის მე-14 ჯგუფის კურსდამთავრებულია.

იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭოს შეფასებით გვანცა ჩიქოვანმა წარმატებით გაიარა სრული სასწავლო კურსის ყველა ეტაპი. იგი გამოირჩეოდა პროფესიონალიზმითა და პრეზენტაციის უნარებით.

სკოლაში სწავლის პერიოდში მას არ დაკისრებია დისციპლინური პასუხისმგებლობა.

<u>კანდიდატთან გასაუბრება:</u>

საბჭოს წევრების მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ დაინიშნა კანდიდატებთან გასაუბრება. საბჭოს წევრები კანდიდატ გვანცა ჩიქოვანს გაესაუბრნენ 21 ოქტომბერს. გასაუბრება წარიმართა ღია სხდომაზე და მას ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

<u>კანდიდატის შეფასება:</u>

2020 წლის 5 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე პერიოდში იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თხუთმეტივე წევრმა კანდიდატი გვანცა ჩიქოვანი შეაფასა კომპეტენტურობისა და კეთილსინდისიერების კრიტერიუმების მიხედვით.

გვანცა ჩიქოვანის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას, საბჭოს შემფასებელმა თხუთმეტივე წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს.

საბჭოს წევრთა მიერ გვანცა ჩიქოვანის კომპეტენტურობის კრიტერიუმით შეფასებისას ამ კრიტერიუმების მახასიათებლების მიხედვით კანდიდატის მიერ მოპოვებულმა ქულათა ჯამმა შეადგინა 1282 ქულა, რაც ქულების მაქსიმალური რაოდენობის 85.47%-ია.

<u>კენჭისყრის შედეგები:</u>

2020 წლის 18 ნოემბერს მარნეულის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის ვაკანსიაზე ჩატარებული კენჭისყრის შედეგად, რომელშიც მონაწილეობა საბჭოს 14-მა წევრმა მიიღო, გვანცა ჩიქოვანმა მოიპოვა 13 ხმა.

აღნიშნულ ვაკანსიაზე ბიულეტენში შეყვანილ იქნა 8 კანდიდატი, მათგან 3 ყოფილი მოსამართლე და 5 იუსტიციის უმაღლესი სკოლის ყოფილი მსმენელი, კერძოდ:

1. ბარამიძე ია - 0 ხმა
2. ვატიტაძე გრიგოლ - 0 ხმა
3. ზვიადაძე გიორგი - 0 ხმა
4. თაყაძე თეა - 0 ხმა
5. ლობჟანიძე გიორგი - 0 ხმა
6. ჩიქოვანი გვანცა - 13 ხმა
7. ხაბალაშვილი ნინო - 0 ხმა
8. ჯვარშეიშვილი მაია - 0 ხმა

1 ბიულეტენი გაბათილდა.

<u>დასკვნა:</u>

კანდიდატის - გვანცა ჩიქოვანის კეთილსინდისიერების (საბჭოს შემფასებელმა ყველა წევრმა მიიჩნია, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს) და კომპეტენტურობის (წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის, სამართლის ნორმების ცოდნის, პროფესიული თვისებების) კრიტერიუმების გათვალისწინებით, კენჭისყრის შედეგების საფუძველზე, სხვა 7 კანდიდატთან შედარებით უპირატესობა მიენიჭა და მარნეულის მუნიციპალიტეტში ბოლნისის რაიონული სასამართლოს მაგისტრატი მოსამართლის თანამდებობაზე 3 წლის ვადით განწესდა გვანცა ჩიქოვანი.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი